საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2025 წლის ივლისი

05.09.2025
www.geostat.ge

05.09.2025

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
2025 წლის ივლისი

2025 წლის ივლისში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** 0.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო **წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით** ინდექსი გაიზარდა 5.6 პროცენტით.

მათ შორის:

- **საცხოვრებელი სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 1.6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 7.8 პროცენტით;
- **არასაცხოვრებელი სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 3.0 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 6.7 პროცენტით;
- **სამოქალაქო სეგმენტის ინდექსი** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.5 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 3.0 პროცენტით.

მშენებლობის ღირებულების ინდექსი



05.09.2025

2025 წლის ივლისში მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა თვესთან შედარებ**ით 0.4 პროცენტით გაიზარდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 4.5 პროცენტიანი ზრდით, რამაც 0.73 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 5.6 პროცენტით. ინდექსის ზრდა, უმეტესწილად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 22.5 პროცენტიანი ზრდით და სამშენებლო მასალების 1.5 პროცენტიანი გაძვირებით, რამაც შესაბამისად, 4.53 და 0.92 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში. ამასთან, **2022 წლის თებერვალთან შედარებით** მშენებლობის ღირებულების ინდექსი გაიზარდა 25.0 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის ივლისში მშენებლობის ღირებულების ინდექსები (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და მის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების და სეგმენტების შესაბამისი წვლილები.

სეგმენტი/ ხარჯების კატეგორია	2025 წლის ივნისთან	წვლილი* თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2024 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
ჯამური CCI	**100.4**	**0.44**	**105.6**	**5.59**
სამშენებლო მასალები	99.3	-0.41	101.5	0.92
ხელფასები	104.5	0.73	122.5	4.53
მანქანა-დანადგარები	100.0	0.00	107.1	0.41
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	101.4	0.13	96.5	-0.54
სხვა ხარჯები	99.8	-0.01	104.3	0.26
CCI საცხოვრებელი სეგმენტი	**101.6**	**0.69**	**107.8**	**3.29**
CCI არასაცხოვრებელი სეგმენტი	**97.0**	**-0.45**	**106.7**	**0.94**
CCI სამოქალაქო სეგმენტი	**100.5**	**0.20**	**103.0**	**1.35**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

05.09.2025

მშენებლობის ღირებულების ინდექსის წლიური ცვლილების დეკომპოზიცია ხარჯების კატეგორიების მიხედვით



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %

(წინა თვესთან შედარებით)



05.09.2025

მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით)



მშენებლობის ღირებულების ინდექსის ცვლილება, %
(2022 წლის თებერვალთან შედარებით)



საკონტაქტო პირები:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge